



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო  
G E O R G I A  
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



განკარგულება:გ-65.6523039001

თარიღი:08/02/2023

**ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, სოლომონ მეორეს ქუჩაზე არსებული 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სკვერი (ს/კ 31.01.29.376)) 18 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყოფის და აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა. გოგორიშვილს) ქ. ვანში, სოლომონ მეორეს ქუჩაზე არსებული 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (სკვერი (ს/კ 31.01.29.376)) 18 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყოფის და აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე.

2. სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე, სწრაფი კვების ობიექტის მოწყობის მიზნით განთავსდეს მსუბუქი კონსტრუქცია.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

